ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1826732

ნომერი: AR1296561

თარიღი : 24.03.2015

გაცემის თარიღი : 06.04.2015

გაცნობის თარიღი : 07.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 83/11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზეზვა ობგაიძე პ/ნ 01024043761
- თბილისი ვაჟა-ფშაველას ჩიხი N 3 ბ. 11

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის, დამხმარე სათავსოს შენობა–ნაგებობის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ

იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ვაჟა–ფშაველას გამზირი, N83/11, შპს „ედემი“–ს და შპს „MEDISONI“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვს. N 005.004), I კლასის, დამხმარე სათავსოს შენობა–ნაგებობის მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.14.04.005.004, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015013644 20/01/2015წ., ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათი და ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზი, თანამესაკუთრის თანხმობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ვაჟა–ფშაველას გამზირი, N83/11, შპს „ედემი“–ს და შპს „MEDISONI“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვს. N 005.004), I კლასის, დამხმარე სათავსოს შენობა–ნაგებობის მშენებლობის შესაძლებლობას.

ამასთან, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

•საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარის და ფანჯრის მოწყობა, ან შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.

•სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექების მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში.

•საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 5 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს ხის მასალა უნდა იქნას დამუშავებული ცეცხლმედეგი ხსნარით.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.